



სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბრძანება

N1.1/69

12.07.2020 წ.

ქ. თბილისი

2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 55-ე და 57-ე მუხლების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/6 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

- 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით განისაზღვროს შემდეგი ვადები:
  - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (შემდგომში - დაწესებულებები) მიერ მობილობის წესით მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში - მართვის სისტემა) წარმოდგენის ვადა განისაზღვროს: **2020 წლის 15 ივლისიდან - 2020 წლის 23 ივლისის ჩათვლით.**
  - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (შემდგომში - მობილობის) მსურველ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს: **2020 წლის 31 ივლისიდან - 2020 წლის 19 აგვისტოს 18.00 საათამდე.**
  - მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვის ვადა განისაზღვროს: **2020 წლის 26 აგვისტოდან - 2020 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.**
- დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს, ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსების გზით.
- ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი. მე-12 კმ. №6), კანონით დადგენილი წესით აცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბიზნესის ანალიზისა და პროექტების მართვის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის - სოფიო უგრეხელიძის 2020 წლის 3 ივლისის N557914 სამსახურებრივი ბარათი.

უფროსის მ/შემსრულებელი

დავით ტატიშვილი